განმარტებითი ბარათი

საქართველოს კანონის პროექტზე

„საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

ა.ა.ა) პრობლემა, რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს კანონპროექტი

კანონპროექტის მომზადება განაპირობა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ცალკეული დანაშაულების შედეგად დაზარალებული პირებისთვის მიყენებული ქონებრივი ზიანის ანაზღაურებისთვის ეფექტიანი მექანიზმის დანერგვის აუცილებლობამ. სახელმწიფოს გააჩნია პოზიტიური ვალდებულება დახვეწოს მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს დაზარალებულთა უფლებრივი მდგომარეობის სწრაფად და ეფექტიანად აღდგენასა და ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობას.

საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი მოიცავს შემდეგ ფუნდამენტურ საკითხებს:

- დაზარალებულს შესაძლებლობა ექნება გამარტივებული წარმოების გზით მოითხოვოს მსჯავრდებულისგან/განრიდებულისგან მისი ანაზღაურება, თუ მას ქონებრივი ზიანი მიადგა ცალკეული ქონებრივი დანაშაულებისთვის.
- მოთხოვნის უზრუნველყოფის მიზნით, კანონპროექტი ითვალისწინებს მსჯავრდებულის/განრიდებულის ქონებაზე ყადაღის დადების შესაძლებლობას.
- ინერგება ისეთი მექანიზმი, რომელიც დაზარალებულს შესაძლებელს მისცემს ზიანი აინაზღაუროს როგორც ზემოხსენებული დანაშაულის ჩამდენი პირისგან დანაშაულის საგნის ამოღების, ისე ამ პირის იმ ახლო ნათესავისგან, ასევე დაკავშირებული პირისგან ამოღებული ქონების ფარგლებში, რომელსაც ჩადენილი აქვს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული - უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია (ფულის გათეთრება).
- ინერგება საქართველოდან გასვლის აკრძალვა, როგორც სოციალური დაცვის ღონისძიების ერთ-ერთი სახე.

სოციალური დაცვის ღონისძიების - საქართველოდან გასვლის აკრძალვის მიზანია, პირის მიერ დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურებისთვის თავის არიდების პრევენცია. დაზარალებულის ქონების მართლსაწინააღმდეგო დაუფლებამ შესაძლოა გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს თავად დაზარალებულს. სასჯელის მიზანია სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავის რესოციალიზაცია. ხშირად, ისეთ დანაშაულებთან მიმართებით, როდესაც სახეზე არის დაზარალებული, რომელსაც მიადგა მატერიალური ზიანი ვერ იღებს იმ შედეგს, რაც მის პირვანდელ მდგომარეობის აღადგენდა - მისთვის მიყენებული ზიანისა თუ ზარალის ანაზღაურება რჩება სასჯელის მიზნებს მიღმა. კანონი არ ითვალისწინებდა ისეთ მექანიზმს, რაც ეფექტიანად უზრუნველყოფს დამნაშავის მიერ მიყენებული ქონებრივი ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობას. კანონპროექტით განისაზღვრება საქართველოდან გასვლის აკრძალვის ვადა - ჩადენილი დანაშაულის კატეგორიისთვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 79-ე მუხლით გათვალისწინებული ნაკლებად მძიმე, მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის ნასამართლობის გაქარწყლებისთვის დადგენილი ვადის გაორმაგებით, კერძოდ: ნაკლებად მძიმე დანაშაულისთვის - 6 წელი, მძიმე დანაშაულისთვის - 12, ხოლო განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის 16 წელი.

წარმოდგენილი ახალი საკანონმდებლო რეგულაცია ხელს შეუწყობს დაზარალებულების უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებას, ასევე, რეგლამენტირებულ იქნება გამარტივებული აღსრულების მექანიზმი და დაზარალებულებს შეეძლებათ ეფექტიანად აინაზღაურონ დამნაშავეთა მიერ მიყენებული ზიანი. ამავდროულად, იმისათვის, რათა, ერთი მხრივ, მოხდეს ახალი დანაშაულების პრევენცია, ხოლო მეორე მხრივ, ზიანის მიმყენებლების მიერ ვალდებულების შესრულებისგან თავის არიდების რისკების მინიმუმამდე დაყვანა, საჭიროა საქართველოდან გასვლის აკრძალვის - როგორც სოციალური დაცვის ღონისძიების ერთ-ერთი სახის, გათვალისწინება. ასევე, ცვლილებათა პაკეტი მიზნად ისახავს იმგვარი დანაშაულებრივი სქემის მაქსიმალურად გამორიცხვას, რომელიც უკავშირდება, კვალის დაფარვის მიზნით, დანაშაულებრივი გზით მოპოვებული/დაუსაბუთებელი ქონების ოჯახის წევრისთვის გადაცემას. საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტით მოწესრიგდება, როგორც დაუსაბუთებელი ქონების გადაცემასთან, ასევე დაზარალებულებისთვის ზიანის ანაზღაურების რიგითობის საკითხები.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად კანონის მიღების აუცილებლობა

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროა დასახელებული კოდექსის ცალკეული ნორმების ფორმულირებების კორექტირება, რაც უნდა განხორციელდეს საკანონმდებლო ცვლილების გზით.

ა.ბ) კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგები

კანონპროექტის მიღებით უზრუნველყოფილი იქნება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ცალკეული ნორმების შესაბამისობა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში განხორციელებული ცვლილებებთან.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

კანონპროექტის თანახმად, ახალი რედაქციით ყალიბდება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-6 მუხლის მეორე ნაწილი, რომლის თანახმადას პირის დამნაშავედ ცნობა, მისთვის სასჯელის შეფარდება და სოციალური დაცვის ღონისძიების დანიშვნა მხოლოდ სასამართლოს უფლებამოსილებაა.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 33-ე მუხლის მე-6 ნაწილში, პროკურორის უფლებამოსილებების ჩამონათვალს ემატება კიდევ ერთი უფლებამოსილება „ი[1]“ ქვეპუნქტის სახით, კერძოდ, - პროკურორი უფლებამოსილია: სასამართლოში საქმის განხილვისას ნებისმიერ ეტაპზე დასაბუთებული შუამდგომლობით მოითხოვოს სოციალური დაცვის ღონისძიების, კერძოდ, საქართველოდან გასვლის აკრძალვის დანიშვნა.

ცვლილებებთან შესაბამისობაში მოდის ბრალდებულის ადვოკატის სამართლებრივი მდგომარეობის მარეგულირებელი ნორმა, კერძოდ, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 44-ე მუხლის პირველი ნაწილით ადვოკატს ასევე არა აქვს უფლება, ბრალდებულის ნების საწინააღმდეგოდ შეიტანოს საჩივარი ან უარი თქვას მასზე ბრალდებისა და სასჯელის, აგრეთვე სოციალური დაცვის ღონისძიების, ნაწილებში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ბრალდებულს აქვს შესაძლებლობის იმგვარი შეზღუდვა, რომელიც შეუძლებელს ხდის მისგან თანხმობის მიღებას.

კანონპროექტით ცვლილება შედის დაზარალებულის უფლებებთან მიმართებით, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 57-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტში დაზარალებულს სხვა უფლებებთან ერთად სოციალური დაცვის ღონისძიების შეფარდების სასამართლო სხდომაზე მისცეს ჩვენება იმ ზიანის შესახებ, რომელიც მას დანაშაულის შედეგად მიადგა, ან წერილობით წარუდგინოს სასამართლოს აღნიშნული ინფორმაცია.

კანონპროექტის შესაბამისად, საქართველოს სისხლის სამართლის პროცესს ემატება XVII[1] თავი, რომელიც არეგულირებს დაყადაღებული ქონების განკარგვასთან დაკავშირებულ საკითხებს, კერძოდ:

- დაყადაღებული ქონების მიზნობრივი განკარგვის საკითხი - პირი, რომლის ფაქტობრივ მფლობელობაში ან საკუთრებაშია დაყადაღებული ქონება (შემდგომში - ქონების მესაკუთრე), დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების მიზნით, უფლებამოსილია, საქმის წარმოების ნებისმიერ ეტაპზე, მიმართოს პროკურორს და ითხოვოს დაყადაღებული ქონების სრულად ან ნაწილობრივ მიზნობრივი განკარგვა. მიზნობრივი განკარგვა შესაძლებელია განხორციელდეს როგორც ყადაღის ობიექტის, ასევე პირის მიერ მისი მიზნობრივი რეალიზაციის შედეგად მიღებული თანხის გადაცემის ფორმით. იმ შემთხვევაში თუ საქმე ეხება სუბიექტის საბანკო/ელექტრონულ ანგარიშზე ყადაღის დადებას ზიანის ანაზღაურების ან სხვა მოტივირებული საფუძვლით, ანგარიშის მესაკუთრე უფლებამოსილია მიმართოს პროკურორს და ითხოვოს საბანკო ანგარიშზე არსებული ნაშთის სრულად ან ნაწილობრივ მიზნობრივი განკარგვა. ქონების მესაკუთრესა და მის ადვოკატს შორის, წერილობითი ფორმით გაფორმებული თანხმობის დოკუმენტის საფუძველზე, პროკურორი უფლებამოსილია მიმართოს სასამართლოს შუამდგომლობით დაყადაღებული ქონების სრულად ან ნაწილობრივ მიზნობრივი განკარგვის თაობაზე. აგრეთვე, შუამდგომლობით დაყადაღებულ საბანკო ანგარიშზე არსებული ფულადი ნაშთის სრულად ან ნაწილობრივ მიზნობრივი განკარგვის თაობაზე. თანხმობის შესახებ დგება შესაბამისი ოქმი.
- ქონების მიზნობრივი განკარგვის თაობაზე შუამდგომლობა და მისი განხილვის წესი - ქონების მიზნობრივ განკარგვაზე შეთანხმდების შემთხვევაში (პროკურორი, ქონების მესაკუთრე და მისი ადვოკატი) პროკურორი წერილობითი შუამდგომლობით მიმართავს სასამართლოს გამოძიების ადგილის მიხედვით. პროკურორის შუამდგომლობას თან ერთვის ყველა ის საჭირო დოკუმენტაცია, რომელიც მნიშვნელოვანია საკითხის განსახილველად, მათ შორის, განაცხადი, რომელიც ადასტურებს იმას, რომ ქონების მესაკუთრემ ნებაყოფლობით განაცხადა განკარგვის თაობაზე და სრულყოფილად აღიქვამს მოსალოდნელ სამართლებრივ შედეგებს. შუამდგომლობის განხილვისას სასამართლო ამოწმებს შუამდგომლობის მოთხოვნის კანონიერებასა და დასაბუთებულობას. უფრო მეტიც, შუამდგომლობის განხილვისას სასამართლო ვალდებულია დარწმუნდეს, რომ ქონების მიზნობრივი განკარგვის გადაწყვეტილება:
  ა) მიღებულია წამების, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სხვაგვარი ძალადობის, დაშინების, მოტყუების ან რაიმე უკანონო დაპირების გარეშე;
  ბ) ნებაყოფლობითია;

გ) ქონების მესაკუთრე სრულად აცნობიერებს მოსალოდნელ სამართლებრივ შედეგებს;

დ) ქონების მესაკუთრემ მიიღო კვალიფიციური იურიდიული დახმარება;

ე) შეთანხმება სრულად ასახავს მხარეთა შორის მიღწეული შეთანხმების ყველა პირობას.

165[4] მუხლის მე-7 ნაწილის შესაბამისად, მოსამართლე შუამდგომლობას იხილავს ზეპირი მოსმენით, მიმართვიდან 72 საათის ვადაში და იღებს გადაწყვეტილებას შუამდგომლობის დაკმაყოფილებისა და ქონების მიზნობრივი განკარგვის ან დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ. შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარი არ საჩივრდება, თუმცა არ ზღუდავს სასამართლოსთვის 3 თვის შემდეგ ხელახლა მიმართვის შესაძლებლობას. სასამართლოს განჩინების სარეზოლუციო ნაწილში მიეთითება განსაკარგი ქონების მაიდენტიფიცირებელი ნიშნები და მოცულობა, ქონების მიმღები სუბიექტის ვინაობა, გადაწყვეტილება ქონებაზე დადებული ყადაღის სრულად ან ნაწილობრივ მოხსნის თაობაზე.

- ქონების მიზნობრივი განკარგვის თაობაზე გადაწყვეტილების აღსრულება სავალდებულოა შესაბამისი დაწესებულებისა და სუბიექტისთვის.
- რაც შეეხება დაყადაღებული მოძრავი ქონების კაპიტალიზაციას - აღნიშნული საკითები გაწერილია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 165[6] მუხლით. თუ ბრალდებულის მოძრავ ქონებას ყადაღა ადევს შესაძლო ჩამორთმევის უზრუნველსაყოფად და იმავდროულად ქონების შენახვა იწვევს მისი ღირებულების მნიშვნელოვნად შემცირებას, პროკურორი უფლებამოსილია მოითხოვოს ქონების კაპიტალიზაცია, მისი აუქციონის წესით გასხვისების გზით. ქონების კაპიტალიზაციისა და კაპიტალიზებულ ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ შუამდგომლობას სასამართლო განიხილავს გამოძიების ადგილის მიხედვით, ხოლო მიღებული გადაწყვეტილება საჩივრდება მხარის მიერ (პროკურორი ან ბრალდებული, აგრეთვე მის ადვოკატი) საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 207-ე მუხლით დადგენილი წესით. იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო დააკმაყოფილებს შუამდგომლობას განჩინება აღსასრულებლად ეგზავნება სსიპ ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს, რომელიც უზრუნველყოფს, საშუალო საბაზრო ფასის შესაბამისად, ქონების რეალიზაციას კანონმდებლობით დადგენილი წესით. ქონების გასხვისების შედეგად მიღებული თანხა სისხლის სამართლის საქმეზე შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღებამდე განთავსდება სსიპ ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ანგარიშზე და ამის შესახებ ეცნობება პროკურორს. პარალელურად

დაყადაღებული ქონების კაპიტალიზაცია დაინტერესებულ პირს არ ართმევს უფლებას, სამოქალაქო სამართალწარმოების წესით იდავოს კაპიტალიზებულ ქონებაზე, ხოლო თუ კაპიტალიზებული ქონება საქმეზე შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღებისას არ დაექვემდებარა ჩამორთმევას, იგი უბრუნდება ბრალდებულს.

კანონპროექტის შესაბამისად, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 168[1] მუხლში, გამარტივებული წესით დანაშაულის შედეგად მიყენებული ქონებრივი ზიანის ანაზღაურების დაკისრება გაიწერა განრიდების ერთ-ერთ წინაპირობად. ამასთანავე, კანონპროექტის შესაბამისად, ბრალდებულის სასამართლოში პირველი წარდგენის სხდომაზე, უფლებათა განმარტებისას მოსამართლე ბრალდებულს აცნობებს სოციალური დაცვის ღონისძიების შესახებ.

კანონპროექტის თანახმად, საპროცესო შეთანხმების არსთან დაკავშირებით ცვლილება შედის საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 209-ე მუხლის პირველ ნაწილში და სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის საფუძველია საპროცესო შეთანხმება, რომლის თანახმადაც ბრალდებული აღიარებს დანაშაულს და უთანხმდება პროკურორს სასჯელზე, სოციალური დაცვის ღონისძიების, კერძოდ, საქართველოდან გასვლის აკრძალვაზე, ბრალდების შემსუბუქებაზე ან ნაწილობრივ მოხსნაზე. აღნიშნული საკითხიდან გამომდინარე ცვლილებებთან ჰარმონიზაციის მიზნით კონკრეტული ცვლილებები შევიდა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 209-ე მუხლის მე-2 ნაწილსა და 211-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ ჩამონათვალში, კერძოდ დაემატა ვ[1] ქვეპუნქტი. 212-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში, 213-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებში, რომელიც უშუალოდ სასამართლოს გადაწყვეტილება სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე საკითხს მიემართება.

კანონოროექტით, ცვლილება წინასასამართლო სხდომის მარეგულირებელ მუხლშიც, კერძოდ, კოდექსის 209-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, თუ ბრალდებულის მაგისტრატ მოსამართლესთან პირველი წარდგენის შემდეგ ბრალდება შეიცვალა, წინასასამართლო სხდომაზე მოსამართლე ბრალდებულს განუმარტავს ბრალდების არსს, ამ ბრალდებით გათვალისწინებული სასჯელის ზომას და საჭიროების შემთხვევაში, სოციალური დაცვის ღონისძიების არსს.

კანონპროექტით, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსს ემატება ახალი XXIV[1] თავი, რომელიც შეეხება დანაშაულის შედეგად მიყენებული ქონებრივი ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებული წარმოებას. დაზარალებულს, რომელსაც უშუალოდ დანაშაულის შედეგად მიადგა ქონებრივი ზიანი, უფლება აქვს გამამტყუნებელი განაჩენის ან საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 168[1] მუხლის საფუძველზე მოითხოვოს,

განაჩენით დადგენილი პირდაპირი ზიანის სახით მიყენებული ქონებრივი ზიანის ანაზღაურება „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით თუ მიყენებული ზიანი არ არის ანაზღაურებული. აღნიშნული მიემართება შემთვევას, თუ ჩადენილია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 79[8] მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაული. მართალია მოსამართლის კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადგენილი პირდაპირი ზიანის ანაზღაურების დაკისრება გამორიცხავს სასამართლოში სამოქალაქო სამართალწარმოების წესით იმავე მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად მიმართვის შესაძლებლობას, თუმცა განაჩენის საფუძველზე დადგენილი ქონებრივი ზიანის გამარტივებული წარმოებით ანაზღაურების უფლების რეალიზაცია არ ართმევს დაზარალებულს უფლებას ანაცდენ სარგებელზე ან მომეტებული საფრთხის წყაროთი მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ იდაოს სამოქალაქო წესით. ამასთანავე, კანონპროექტით დარეგულირებულია დაზარალებულის გარდაცვალების შემთხვევაც, ასეთ დროს, განაჩენის საფუძველზე დადგენილი ქონებრივი ზიანის გამარტივებული წარმოებით ანაზღაურების უფლება გადადის გარდაცვლილის მემკვიდრეებზე/უფლებამონაცვლეზე.

დაზარალებულს უფლება აქვს სისხლის სამართლის საქმის წარმოების ნებისმიერ სტადიაზე, ბრალდებულთან მორიგების ან სხვა საფუძვლის გამო, უარი თქვას განაჩენის საფუძველზე დადგენილი ქონებრივი ზიანის გამარტივებული წარმოებით ანაზღაურების უფლებაზე, რაც ართმევს აღნიშნული წარმოების სამომავლოდ დაწყების შესაძლებლობას. ასეთ შემთხვევაში, ქონებრივი ზიანის გამარტივებული წარმოებით ანაზღაურების უფლებაზე უარის თქმის შემთხვევაში, დაზარალებულს აღარ აქვს უფლება პირდაპირი ზიანის სახით მიყენებულ ქონებრივ ზიანზე იდაოს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით. დანაშაულის შედეგად მიყენებული ქონებრივი ზიანის ანაზღაურებასთან დადგენილი წარმოება, ვრცელდება იმ შემთხვევაზეც, თუ დაზარალებული სახელმწიფოა და არ არის ჩადენილი გადასახადის გადაუხდელობასთან დაკავშირებული რომელიმე დანაშაული.

დანაშაულის შედეგად მიყენებული ქონებრივი ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებული წარმოების თავში 218[2] მუხლის ფარგლებში გაწერილია დაზარალებულთა დაკმაყოფილების რიგითობა, რომლის შესაბამისადაც პირველ რიგში, შეიძლება გადაეცეს ამ დანაშაულის ჩამდენი პირის მიერ სსკ-ის 79[8] მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაულის ჩადენის შედეგად დაზარალებულს.ასეთი დაზარალებულის არარსებობისას ქონება შეიძლება გადაეცეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩამდენი პირის ახლო ნათესავის, ასევე დაკავშირებული პირის მიერ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 79[8] მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაულის ჩადენის შედეგად დაზარალებულს. სასამართლოს გადაწყვეტილება ერთჯერადად შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო წესით.

ზემოთხსენებული ცვლილებებიდან გამომდინარე ცვლილებები შედის: საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლის პირველ ნაწილში, 259-ე მუხლის მე-4 ნაწილში, 260-ე მუხლის პირველი ნაწილის ე[1] ქვეპუნქტშ და ნაწილს ემატება თ[1] ქვეპუნქტი, 267-ე მუხლის მე-3 ნაწილში, 269-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტში, ასევე ნაწილს ემატება „ე“ ქვეპუნქტი, 269-ე მუხლის მე-4 ნაწილში, ახლებურად ყალიბდება 273-ე მუხლის მე-2 ნაწილი, ცვლილება შედის 274-ე მუხლში და პირველ ნაწილს ემატება ვ[1] და ი[1] ქვეპუნქტები, ასევე მე-4 ნაწილი ყალიბდება ახლებურად, ცვლილებები შედის 282-ე მუხლის მე-3 ნაწილში, 283-ე მუხლის პირველ და 1[1] ნაწილებში, 286-ე მუხლში, 287-ე მუხლის „ვ“ ქვეპუნქტში, 298-ე მუხლს ემატება მე-5 ნაწილი, 300-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი ყალიბდება ახლებურად, ცვლილება შედის 308-ე მუხლის პირველ ნაწილში და ემატება 2[1] ნაწილი.

ა.დ) კანონპროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში (საქართველოს მთავრობის მიერ ინიციირებული კანონპროექტის შემთხვევაში)

აღნიშნული ქვეპუნქტი არ გამოიყენება წარმოდგენილ კანონპროექტთან მიმართებაში (კანონპროექტი არ არის ინიცირებული საქართველოს მთავრობის მიერ).

ა.ე) კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო კანონისთვის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში – აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება

წარმოდგენილი კანონპროექტი ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე, რადგან არ არის მიზანშეწონილი ამოქმდების ვადის სხვაგვარი რეგულირება. ამასთანავე, კანონპროექტი არ ითვალისწინებს კანონისთვის უკუძალის მინიჭებას.

ა.ვ) კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები და შესაბამისი დასაბუთება (თუ ინიციატორი ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას)

კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვა მოთხოვნილი არ არის.

ბ) კანონპროექტის ფინანსური გავლენის შეფასება საშუალოვადიან პერიოდში (კანონპროექტის ამოქმედების წელი და შემდგომი 3 წელი):

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

კანონპროექტის მიღებასთან, მათ შორის, ელექტრონული ზედამხედველობის საშუალებების მონიტორინგისათვის საჭირო დამატებითი ადამიანური რესურსის მობილიზებასთან (ასეთის საჭიროების შემთხვევაში), დაკავშირებით ხარჯების

დაფინანსების წყაროა სახელმწიფო ბიუჯეტიდან საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოსთვის გამოყოფილი ასიგნებები.

ასევე, სსიპ ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ იმ ქონების, რომლის კაპიტალიზაციაც განხორციელდა, რეალიზაციასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსების წყაროა სახელმწიფო ბიუჯეტიდან სსიპ ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოსთვის გამოყოფილი ასიგნებები.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

კანონპროექტს გავლენა არ აქვს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

კანონპროექტი გავლენას არ მოახდენს სასამართლოს მიერ განსახილველ საქმეთა რაოდენობაზე, შესაბამისად, მასთან დაკავშირებულ ფინანსურ ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

კანონპროექტი გავლენას მოახდენს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოსთვის გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში. კერძოდ, საქართველოდან გასვლის აკრძალვა აღსრულდება ელექტრონული ზედამხედველობის საშუალების გამოყენებით, რაც თავის მხრივ დაკავშირებულია შესაბამისი რაოდენობის ელექტრონული ზედამხედველობის საშუალების შეძენაზე. თავის მხრივ, აღნიშნული საშუალების რაოდენობა დამოკიდებული იქნება პირის ქვეყნიდან გასვლის აკრძალვის გადაწყვეტილებების შემთხვევებზე.

გარდა აღნიშნულისა, ელექტრონული ზედამხედველობის საშუალებების მონიტორინგის პროცესმა შესაძლოა მოითხოვოს ადამიანური რესურსის მობილიზება, რაც ასევე დაკავშირებულია დამატებით ხარჯებთან, რომელიც დაიფარება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოსთვის გამოყოფილი ასიგნებებიდან.

კანონპროექტი გავლენას იქონიებს სსიპ ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოზე. ყადაღადადებული მოძრავი ქონების კაპიტალიზაცია გამოიწვევს

დამატებითი რესურსის მობილიზებას, რაც, თავის მხრივ, გაზრდის პასუხისმგებელი ორგანოს მიერ გასაწევი ხარჯის ოდენობას.**ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები, კანონპროექტის გავლენით სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები პირდაპირი ფინანსური ვალდებულებების (საშინაო ან საგარეო ვალდებულებები) მითითებით**

კანონპროექტის მიხედვით სახელმწიფოს არ ეკისრება ახალი ფინანსური ვალდებულებები.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება, იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გავლენის ბუნებისა და მიმართულების მითითებით, რომლებზედაც მოსალოდნელია კანონპროექტით განსაზღვრულ ქმედებებს ჰქონდეს პირდაპირი გავლენა

კანონპროექტის მიღებას გავლენა ექნება კანონპროექტით შემოთავაზებული სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ცალკეული დანაშაულებით დაზარალებულ პირებზე, რომლებისთვისაც შეიქმნება მიყენებული ზიანის ანაზღაურების ქმედითი მექანიზმი.

ამასთანავე, კანონპროექტის მიღება გავლენას იქონიებს იმ პირებზე, რომლებიც მსჯავრდებულები იქნებიან კანონპროექტით შემოთავაზებული სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ცალკეული დანაშაულებისთვის. შესაძლოა, მათ მიმართ გამოყენებულ იქნეს სოციალური დაცვის ღონისძიება - საქართველოდან გასვლის აკრძალვა, რაც, თავის მხრივ, შესაძლოა გავლენა მოახდინოს ამ პირების ფინანსურ მდგომარეობაზე.

კანონპროექტს აღნიშნული პირების მიმართ ფინანსური გავლენა ექნება, მათ შორის, მათი მოძრავი ქონების კაპიტალიზაციის შემთხვევაში. გავლენის ოდენობა დამოკიდებული იქნება სსიპ ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ საშუალო საბაზრო ფასის შესაბამისად აღნიშნული ქონების კანონმდებლობით დადგენილი წესით რეალიზაციაზე.**ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) ოდენობა შესაბამის ბიუჯეტში და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი**

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) ოდენობის შემოღებას.

ბ[1]) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე კანონპროექტის ზეგავლენის შეფასება

კანონპროექტი ზეგავლენას არ მოახდენს ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე.

ბ[2]) ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე კანონპროექტის მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება

კანონპროექტის მიღებით ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე ზეგავლენის მოხდენა მოსალოდნელი არ არის.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება კანონპროექტის მომზადება, – მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ დადებულ ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს. აგრეთვე, კანონპროექტის მიღება არ უკავშირდება რომელიმე ხელშეკრულებას/შეთანხმებას.

გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან

ასეთი არ არსებობს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტი, სამუშაო ჯგუფი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში

ასეთი არ არსებობს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის/დაწესებულების, სამუშაო ჯგუფის, ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) სხვა ქვეყნების გამოცდილება კანონპროექტის მსგავსი კანონების იმპლემენტაციის სფეროში, იმ გამოცდილების მიმოხილვა, რომელიც მაგალითად იქნა გამოყენებული კანონპროექტის მომზადებისას, ასეთი მიმოხილვის მომზადების შემთხვევაში

ასეთი მიმოხილვა არ მომზადებულა.

ე) კანონპროექტის ავტორი

საქართველოს პარლამენტის წევრები - არჩილ გორდულაძე, თორნიკე ჭეიშვილი, რატი იონათამიშვილი, ალუდა ღუდუშაური, დავით მათიკაშვილი, თენგიზ შარმანაშვილი, ალექსანდრე ტაბატაძე, გურამ მაჭარაშვილი, აკაკი ალადაშვილი

ვ) კანონპროექტის ინიციატორი

საქართველოს პარლამენტის წევრები - არჩილ გორდულაძე, თორნიკე ჭეიშვილი, რატი იონათამიშვილი, ალუდა ღუდუშაური, დავით მათიკაშვილი, თენგიზ შარმანაშვილი, ალექსანდრე ტაბატაძე, გურამ მაჭარაშვილი, აკაკი ალადაშვილი